

საქართველოს ფინანსთა მინისტრის

ბრძანება №257
2019 წლის 29 აგვისტო

ქ. თბილისი

საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ ინსტრუქციების დამტკიცების თაობაზე

საქართველოს საბაჟო კოდექსის მე-2 მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე, ვბრძანებ:

მუხლი 1

დამტკიცდეს:

1. ინსტრუქცია „საქართველოს საბაჟო კანონმდებლობით განსაზღვრული უფლებების და მოვალეობების შესახებ“ (დანართი №1).
2. ინსტრუქცია „საბაჟო კონტროლის შესახებ“ (დანართი №2).
3. ინსტრუქცია „საბაჟო ზედამხედველობის შესახებ“ (დანართი №3).
4. ინსტრუქცია „გარანტიის შესახებ“ (დანართი №4).
5. ინსტრუქცია „საქონლის შემოტანისა და ზოგადი დეკლარაციის წარდგენის შესახებ“ (დანართი №5).
6. ინსტრუქცია „საქონლის დროებით შენახვის შესახებ“ (დანართი №6).
7. ინსტრუქცია „ტრანზიტის პროცედურის შესახებ“ (დანართი №7).
8. ინსტრუქცია „საქონლის საბაჟო პროცედურაში ან რეექსპორტში დეკლარირებისა და გაფორმების შესახებ“ (დანართი №8).
9. ინსტრუქცია „საბაჟო საწყობის პროცედურის შესახებ“ (დანართი №9).
10. ინსტრუქცია „თავისუფალი ზონის პროცედურის შესახებ“ (დანართი №10).
11. ინსტრუქცია „დროებითი შემოტანის პროცედურის შესახებ“ (დანართი №11).
12. ინსტრუქცია „საქონლის თავისუფალ მიმოქცევაში გაშვებისა და საქონლის მიზნობრივი დანიშნულებით გამოყენების პროცედურების შესახებ“ (დანართი №12).
13. ინსტრუქცია „შიდა გადამუშავების პროცედურის შესახებ“ (დანართი №13).
14. ინსტრუქცია „გარე გადამუშავების პროცედურის შესახებ“ (დანართი №14).
15. ინსტრუქცია „ექსპორტის პროცედურის შესახებ“ (დანართი №15).
16. ინსტრუქცია „რეექსპორტის შესახებ“ (დანართი №16).
17. ინსტრუქცია „მილსადენითა და ელექტროგადამცემი ხაზებით გადაადგილებული საქონლის შესახებ“ (დანართი №17).
18. ინსტრუქცია „საქონლის განკარგვის შესახებ“ (დანართი №18).
19. დეკლარირების კლასიფიკატორი (დანართი №19).

მუხლი 2

ძალადაკარგულად გამოცხადდეს „საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 26 ივლისის №290 ბრძანება.

მუხლი 3

ეს ბრძანება, გარდა ამ ბრძანებით დამტკიცებული „საბაჟო კონტროლის შესახებ“ ინსტრუქციის (დანართი №2) მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის, მე-13 მუხლის მე-2 პუნქტისა და №2-II-01 – №2-II-03 დანართებისა, „საქონლის საბაჟო პროცედურაში ან რეექსპორტში დეკლარირებისა და გაფორმების შესახებ“ ინსტრუქციის (დანართი №8) მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „3¹“ ქვეპუნქტისა და მე-9 მუხლის მე-3 პუნქტისა, ამოქმედდეს 2019 წლის 1 სექტემბრიდან.

მუხლი 4

ამ ბრძანებით დამტკიცებული „საბაჟო კონტროლის შესახებ“ ინსტრუქციის (დანართი №2) მე-6 მუხლის მე-2 პუნქტი, მე-13 მუხლის მე-2 პუნქტი და №2-II-01 – №2-II-03 დანართები ამოქმედდეს 2021 წლის 1 ივნისიდან.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2019 წლის 27 დეკემბრის ბრძანება №420 - ვებგვერდი, 27.12.2019წ.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 24 ივნისის ბრძანება №141 - ვებგვერდი, 25.06.2020წ.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 27 აგვისტოს ბრძანება №204 - ვებგვერდი, 31.08.2020წ.



მუხლი 5

ამ ბრძანებით დამტკიცებული „საქონლის საბაჟო პროცედურაში ან რეექსპორტში დეკლარირებისა და გაფორმების შესახებ“ ინსტრუქციის (დანართი №8) მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „3¹“ ქვეპუნქტი და მე-9 მუხლის მე-3 პუნქტი ამოქმედდეს 2019 წლის 11 სექტემბრიდან.

მუხლი 6. (ამოღებულია)

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 31 აგვისტოს ბრძანება №214 - ვებგვერდი, 01.09.2020წ.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 5 ოქტომბრის ბრძანება №246 - ვებგვერდი, 06.10.2020წ.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 15 დეკემბრის ბრძანება №303 - ვებგვერდი, 16.12.2020წ.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის
მოვალეობის შემსრულებელი

გიორგი კაკაურიძე

